ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5026679

ნომერი: AR1759377

თარიღი : 07.07.2020

გაცემის თარიღი : 15.07.2020

გაცნობის თარიღი : 15.07.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N 113;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სოფიო ბერიშვილი პ/ნ 01008050958
- მ. კოსტავას #75

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (სექტორი #2, სახლი #5)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ხატია ბერიკაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "კიკვიძე 2"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400216823

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "კიკვიძე 1"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400199370
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი დალაქიშვილი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 31001040497

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2020 წლის 07 ივლისის AR1759377 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ვადაგაუსვლელი მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენ მიერ წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოებით დგინდება, რომ საპროექტო ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 57-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად საჭიროებენ მშენებლობის ახალ ნებართვას. ამასთან, ზემოაღნიშნული დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, გარდა „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25 პრიმა მუხლის, ამ დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

ასევე გაცნობებთ, რომ №4817317 (10/01/2020) ბრძანებით არ მომხდარა პირობადადებული მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება და მშენებლობის ნებართვის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 07 მაისის ჩათვლით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური ვერ განიხილავს ვადაგაუსვლელი მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების საკითხს და ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას. საჭიროა, შესაბამისი ელექტრონული განაცხადით მომართოთ სამსახურს შეთანხმებული პროექტის კორექტირებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე და დამატებით ფაილში წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.